

სამაგისტრო პროექტი: საზოგადოების დამოკიდებულება
ევთანაზიისადმი საქართველოში

ჯგუფი: ოხანაშვილი ანი
ლაცაბიძე ნინო
ბერიძე ნატალია

*სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში*

პროექტის ხელმძღვანელი: სოფიო ლებანიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის
დეკანს, გიორგი ქადაგიძეს

ამავე უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის მაგისტრანტების
ოხანაშვილი ანის
ლაცაბიძე ნინოს
ბერიძე ნატალიას

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ოხანაშვილი ანი

ლაცაბიძე ნინო

ბერიძე ნატალია

15.06.2018

აბსტრაქტი

ევთანაზია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური თემაა. დღემდე არ არსებობს საერთო მიდგომა იმასთან დაკავშირებით, ევთანაზია უნდა ჩაითვალოს გამართლებულ ქმედებად, თუ იგი სიცოცხლის მოსპობის ერთ-ერთი გზაა. აღნიშნული ნაშრომი ეთმობა სწორედ ევთანაზიისადმი საზოგადოების აზრის გაგებას. უპირველეს ყოვლისა ყურადღება გამახვილებული იქნება საკითხისადმი თეორიულ მიდგომებზე, რაც მისი შესწავლის საფუძველს იძლევა.

კვლევის მიზანია გამოარკვიოს, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს საქართველოში სამედიცინო განათლების მქონე მოქალაქეებს და ასაკიან ადამიანებს ევთანაზიისადმი. ძირითად ნაწილში აღწერილია სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკული მაგალითები, წარმოდგენილი როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად რელიგიური, ფილოსოფიური, სამართლებრივი და სამედიცინო საკითხები, რაც ევთანაზიის მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

ასევე განხილულია ევთანაზიის მთავარი პრობლემები, რომელიც ემსახურება ევთანაზიის პრაქტიკული ასპექტების შესწავლას საქართველოს მაგალითზე.

ნაშრომის შემდეგ ეტაპზე განხილულია კვლევები, რომლებიც ჩატარდა სტუდენტებს, ექიმებსა და თავშესაფარში მყოფ მოხუცებში. ასევე წარმოდგენილია ინტერვიუები აჭარის ჯანდაცვის მინისტრის, ბიოეთიკის კათედრის ხელმძღვანელის, ფილოსოფოსის, ექიმი-რეანიმატოლოგისა და სასულიერო პირის მიერ.

კვლევის და ინტერვიუების შედეგების საფუძველზე გაწერილია რეკომენდაციები, რომლებიც საჭიროა ქვეყანაში საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებისთვის ევთანაზიის საკითხის შესახებ.

Abstract

Euthanasia one of the most important pressing topics. No uniform approach exists about if euthanasia should be deemed a justified act or is it just another way to kill. This thesis attempts to find out society's opinion on euthanasia. First of all, theoretical approaches to the matter providing the grounds for its studying will be at the center of our attention.

This research aims to identify the attitudes of the citizens of Georgia with medical education and elderly people toward euthanasia. Practical examples of various countries are described in the main body of the research; religious, philosophical, legal and medical issues underlining the importance of euthanasia will be presented both in theoretical and practical perspectives.

Major issues related to euthanasia will also be discussed, which serves to study practical instances of euthanasia through Georgia's case.

Surveys given to students, doctors and elder residents of retirement homes will be discussed on the next step of the thesis. In addition, interviews with the Minister of Health of Adjara, a Head of Bioethics Faculty, philosopher, intensivist and a cleric are presented.

Some recommendations necessary to raise public awareness on euthanasia in the country are formulated based on the results of the research and the interviews.